საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბაზი

აბაზი, ფულის ერთეული, ვერცხლის მონეტა. ირანში შემოიღო აბას I-მა (აქედან სახელწოდება). **ა.** სწრაფად გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში, მ. შ. საქართველოშიც. აბას I-ის დროინდელი **ა**-ის მასა 7,8 გ უდრიდა, XVIII ს. დასასრულს 3 გ-მდე შემცირდა. შეიცავდა 2 მაჰმუდს (უზალთუნს). **ა**-ის ავერსზე წაწერილი იყო შაჰის სახელი, ტიტულატურა, მოჭრის ადგილი და დრო, რევერსზე – რელიგ. ფორმულა. საქართველოში **ა**-ს ჭრიდნენ XVII ს. I მეოთხედიდან XVIII ს. მიწურულამდე. შემდეგ, XX ს-ში, საქართველოში **ა**-ს უწოდებდნენ ოცკაპიკიანს.

დ. კაპანაძე